



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 46
30/12/2015

46-06-4-201512301653



დადგენილება №46

2015 წლის 30 დეკემბერი
ქ. ოზურგეთი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48
დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში (ვებგვერდი, 31/12/2014 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016206) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

1. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 დეკემბრის N2797 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით დაზუსტდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი. მათ შორის:

გაიზარდა:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა - **100 000** ლარით;

შემცირდა:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა - **67 885** ლარით;

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა - 500 ლარით;
- შესაბამისად გაიზარდოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:

ა) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, არასაცხოვრებელი შენობების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი 03 02 05-61.1.1.2.) – 100 000 ლარით;

შესაბამისად შემცირდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:

ბ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი 03 02 05-61.1.1.5.) – 67 885 ლარით;


გ) საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა (ორგანიზაციული კოდი 03 05 -2.2.10.14.) – 500 ლარით;

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში 31 615 ლარით:

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო